კონსტიტუციის 42-ე მუხლი

# ადამიანის უფლებათა დაცვის 15 წელი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი მისი დაარსებიდან დღემდე თავდაუზოგავად ცდილობს წვლილი შეიტანოს ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით, ორგანიზაცია უკვე თხუთმეტი წელია იცავს ადამიანის უფლებებს საქართველოს შიდა სასამართლოებსა და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში, ახორციელებს სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლების კამპანიებს, ზრუნავს მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე, თანადგომას უცხადებს ადამიანის უფლებადამცველ პირებს და ხელს უწყობს მათ პროფესიული დონის ამაღლებაში. 42-ე მუხლის პრიორიტეტი კანონის უზენაესობა და დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობაა. მისი მისია კი ადამიანის უფლებების დაცვაა, ყველგან და ყოველთვის და მიუხედავად ყველა სირთულისა.

მაკა გიოშვილი / გამგეობის თავმჯდომარე
თამარ გაბისონია / აღმასრულებელი დირექტორი

## ინფორმაცია ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის შესახებ

"კონსტიტუციის 42-ე მუხლი" არასამთავრობო, აპოლიტიკური, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციაა, რომელიც 1997 წლის 12 სექტემბერს დაფუძნდა. ორგანიზაციის წევრები ადვოკატები არიან, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთ უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფენ ადგილობრივ და საერთაშორისო სასამართლო ინსტანციებსა თუ სახელმწიფო დაწესებულებებში.

ორგანიზაცია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და საზოგადოებრივი მართლშეგნების ამაღლების გზით. ადამიანის უფლებების დაცვა ,,კონსტიტუციის 42—ე მუხლის" უმთავრეს ამოცანად რჩება. ამასთან, ამ ამოცანის მისაღწევად, ორგანიზაცია სტრატეგიული სამართალწარმოების გარდა სწავლებას, კვლევასა და ანალიზს გამოიყენებს. უფრო ინტენსიურს გახდის მის მონაწილეობას სამართალშემოქმედებით პროცესებში, რამაც ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენცია და უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება უნდა უზრუნველყოს.

### მისია:

ჩვენ ვიცავთ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ჩვენ ხელს ვუწყობთ საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, ჩვენ წვლილი შეგვაქვს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებაში.

### ფასეულობები:

- დემოკრატიული საზოგადოება კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრვებით ყალიბდება;
- მნიშვნელოვანი შედეგები გუნდური მუშაობით მიიღწევა;
- ადამიანის უფლებათა პატივისცემა სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების გარანტია;
- ნდობა კვალიფიციური საქმიანობით მოიპოვება.

### მიმდინარე პროექტები:

„სტრატეგიული სამართალწარმოება მოწყვლადი და მარგინალური მოსახლეობისათვის" (2010-2013)

დონორი: "ღია საზოგადოების ფონდები" (FOSI-ბუდაპეშტი).

### პროექტის ძირითადი მიზნები:

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება; აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირთა სამართლებრივი დახმარება.

### პროექტის ამოცანები:

- 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველყოფა სამართლებრივი დახმარებით. ამ მიზნით, დევნილებისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევა მათ მიერ კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში, საჩივრების გაგზავნა ევროპულ სასამართლოში და საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე;

- მოწყვლადი და მარგინალური მოსახლეობის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასამართლოში, მათი უფლებების დაცვის თვალსაზრისით;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დანერგვა ქვეყნის შიდა ინსტანციებში;
- ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა, როგორც ეროვნულ დონეზე, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.

## „სტრატეგიული სამართალწარმოება ჯანმრთელობის უფლების დასაცავად" ( OSGF) (2012-2013)

დონორი: "ღია - საზოგადოება საქართველო".

### პროექტის მიზანი:

- პროექტის მიზანია გააუმჯობესოს სოციალურად დაუცველი და მარგინალური მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვა სტრატეგიული სამართალწარმოების მეშვეობით.

### პროექტის ამოცანები:

- ადამიანის უფლებების დაცვა სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ჯანმრთელობის უფლების დაცვის სხვადასხვა საკითხეზზე;
- სოციალურად დაუცველი და მარგინალური მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ჯანმრთელობის უფლების დაცვის საშუალებებზე;
- გამოცემის მომზადება სოციალურად დაუცველი და მარგინალური მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ.

## ქალთა გაძლიერება საზოგადოებრივი განვითარებისათვის (2012)

დონორი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

### პროექტის ძირითადი მიზნები:

- ქალთა უფლებრივი გაძლიერება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი უფლებები და მოახდინონ ადვოკატირება არსებული სიტუაციის შეცვლის მიზნით

### პროექტის ამოცანები:

- ქალთა ცნობიერების ამაღლება მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ
- ქალთა უფლებების დაცვის და პატივისცემის გაუმჯობესება

## ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის შემცირება „ქალთა სამართლებრივი გზამკვლევის განახლება" (2012-2013) დონორი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);

### პროექტის ძირითადი მიზანი:

- საქართველოში ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის გაძლიერება

### პროექტის ამოცანები:

- ადამიანის უფლებების თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდა და საქართველოში ქალთა შორის ცნობიერების ამაღლება;
- დაინტერესებულ პირებსა და მთლიანად საზოგადოებაში ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ სათანადო და ხელმისაწვდომი მასალების/ინფორმაციული წყაროების შექმნა, რომელიც გაზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და დაეხმარება ადამიანის უფლებების დაცვის კულტურის განვითარებას საქართველოში.
- ქალებისათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ იცნობდნენ საკუთარ უფლებებს და საჭიროების შემთხვევაში ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის სამართლებრივ დახმარებაზე.

## ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება საკონონმდებლო დონეზე (2012-2013)

დონორი:ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“

### პროექტის მიზანი:

ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა საქართველოში

### პროექტის ამოცანები:

- სისხლის სამართლის მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება;
- სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზების შესახებ.

## „მცირე და საშუალო ბიზნეს მესაკუთრეთა ნდობის ხარისხის ამაღლება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ“

დონორი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
პროექტის მოქმედების პერიოდი: 04.02.2013 წელი - 31.07.2014

### პროექტის მიზანი:

ნდობის ხარისხის ამაღლება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ

### პროექტის ამოცანები

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთათის უფასო კონსულტაციები საგადასახადო საკითხებზე, წარმომადგენლობას სქართველოს ფინანსთა სამინსიტროს სისტემაში, (შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო) სასამართლოში.

სამუშაო შეხვედრები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, ადვოკატებთან, რეგიონებში.

სამუშაო შეხვედრები მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემების შესახებ სამართლებრივ საკითხებზე - აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სასამართლოს წარმომადგენლებთან, იურისტებთან, შემდგომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა.

მასმედიის საშუალებით საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და ინფორმირება.

## „უფასო იურიდიული დახმარება საქართველოს სოციალურად დაუცველი (ლატაკი) მოსახლეობისათვის“ (2011-2012)

დონორი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი კოორდინატორი ორგანიზაცია: ადამიანის უფლებათა სახლი.

## „როგორ მოვამზადოთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება - ტრეინინგი ადამიანის უფლებათა დამცველი ადვოკატებისათვის“

დონორი: პოლონურ-ამერიკული თავისუფალი ფონდი, პროგრამა “RITA”
საერთაშორისო პარტნიორი: „პოლონეთის ჰელსინკის ფონდი“

### პროექტის მთავარი მიზანია:

- ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდიდან ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებათა საკითხებზე, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრებების მომზადების სფეროში.

## კონკრეტული ამოცანები:

- ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდიდან ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების გაზიარება, რომელიც შეეხება სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების მომზადებას შიდა სახელმწიფოებრივ პროცედურებში ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში გაგზავნამდე
- საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა სასამართლო განხილვებში;
- ქართველი და პოლონელი იურისტების თანამშრომლობისთვის პლატფორმის შექმნა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და ერთობლივად დაუჭირონ მხარი სასამართლოში განსახილველ საქმეებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციების სასამართლო განხილვებში მონაწილეობით საზოგადოების ნდობის ამაღლება საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებისას.

## დასრულებული პროექტები:

### ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციხის რეფორმის ადვოკატირება

- დონორი: აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამა „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში" (G-PAC)

### „ადვოკატირება კომერციული სამართლის გაუმჯობესებისა და იმპლემენტაციისათვის" (2011-2012)

დონორი ორგანიზაცია: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელ სასამართლოსთვის" ფარგლებში, რომელსაც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს აღმოსავლეთ—დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით;

### „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანერგვის ხელშეწყობა"

დონორი ორგანიზაცია: ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED)

### „ცნობიერების ამაღლების კამპანიები სოფლად მცხოვრები ქალებისათვის" (2012)

დონორი ორგანიზაცია: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);

### „რეგიონის ადვოკატების უნარ-ჩვევების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის საქართველოში" (2011-2012)

დონორი ორგანიზაცია: საქართველოში ნიდერნალნდების საელჩო, სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამა "MATRA";

### „ოთხი რ-ს დანერგვა საქართველოში: რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია, და რეციდივიზმის რედუქცია"

კოორდინატორი ორგანიზაცია: წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიაციის ცენტრი; დონორი ორგანიზაცია: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;

### „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საუკეთესო პრაქტიკა ეროვნულ დონეზე"(2011)

დონორი ორგანიზაცია: ღია საზოგადოება „ საქართველო";

### „საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა" (2010-2011)

დონორი ორგანიზაცია: „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის";

### „სტრატეგიული სამართალწარმოება კავკასიაში" (2006-2010)

დონორი ორგანიზაცია: ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. კოოდინატორი ორგანიზაცია: ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი;

- „საერთაშოროსი სამართალი: ელექტრონული სწავლა ადამიანის უფლებათა სფეროში იურისტებისთვის“ (2009- 2011)

დონორი ორგანიზაციები: ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო (Norwegian Ministry of Foreign Affairs); სკანდინავიის მინისტრთა საბჭო (Nordic Council of Ministers); შეერთებული შტატების გერმანიის მარშალის ფონდი (The German Marshall Fund of the United States); ნიდერლანდების საელჩო ვარშავაში (Embassy of the Netherlands in Warsaw); ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის, აშშ (National Endowment for Democracy, USA);

- „ქალთა უფლებების სამაგიდო წიგნის შექმნა, გავრცელება და შედეგების შეფასება“ (2010)

დონორი ორგანიზაცია: “გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების”(GIZ) ფინანსური მხარდაჭერით;

- “ადამიანის უფლებების დაცვა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: წარმატებული მიდგომები და სიძნელეები“ (2010)

დონორი ორგანიზაცია: “ფონდი ღია საზოგადოება — საქართველოს” მხარდაჭერით;

- „იურიდიული კლინიკის პროგრამა“ (2008-2010)

პარტნიორი: კავკასიის სამართლის სკოლა;

- „საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე“ (2007-2010)

დონორი ორგანიზაცია: ”ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (National Endowment for Democracy) ფინანასური მხარდაჭერით;

- „სტრატეგიული სამართალწარმოება ქვეყნის შიგნით: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დანერგვა“ (2004-2007)

დონორი: ,,ღია საზოგადოების ინსტიტუტი” (OSI-ბუდაპეშტი);

- „მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების წარმომადგენელთა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში“ (2008-2009)

დონორი ორგანიზაცია: ეუთო-ს მისია საქართველოში;

- „დევნილი მოსახლეობის სამართლებრივი დახმარება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში“ (2008-2009)

დონორი ორგანიზაცია: “ღია საზოგადოება—საქართველო”;

- „ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა და დახმარების ხელშეწყობა საქართველოში“ (2006-2007)

დონორი ორგანიზაცია: საქართველოში ეუთო-ს მისია;

- „საზოგადოების მიმართ ხელისუფლების ანგარიშვალდებულებების გაზრდა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში“ (2006-2007)

დონორი ორგანიზაცია: ,,ღია საზოგადოების ფონდები” (OSF-ბუდაპეშტი);

- „პროკურატურის რეფორმის მხარდამჭერი პროექტი“ II ფაზა (2006-2007) პარტნიორი: ,,ბრიტანეთის საბჭო”, დონორი: ევროკავშირი;

- „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პატიმართა უფლებებსა და პენიტენციალურ სისტემაზე“ (2005)

დონორი ორგანიზაცია: ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia);

- „უფასო იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველთათვის თბილისის საოლქო სასამართლოში“ (2002-2005)

დონორი ორგანიზაცია: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS-საქართველო;

- „გაკოტრების კანონის მოქმედების და არეალის ეფექტურობის განსაზღვრა“ (2004)

დონორი ორგანიზაცია: სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (GEGI);

- „სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტი“

პარტნიორები: წამების მსხვერპლთა საერთაშორისო სარეაბილიტაციო ცენტრი (IRCT, Denmark); თურქეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი (Izmir Office), წამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ემპათია” და საქართველოს მედიკოსთა ასოციაცია”;

- „იურიდიული კლინიკა“ (1998-2004)

დონორი ორგანიზაცია: ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA);

- „პრაქტიკული ტრეინინგის კურსი ადამიანის უფლებათა დამცველი ადვოკატებისათვის“ (2001-2003)

დონო- რი ორგანიზაცია: ნიდერლნდების საგარო საქმეთა სამინისტრო და ღია საზოგადოების სამართლებრივი ინსტიტუტი.

- გარდა ამისა, 1998-2001 წლებში ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი პროექტები:

„საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და სამართლებრივი მომსახურება”; „უფასო სამართლებრივი დახმარება”; „სასამართლო გადაწყვეტილე-ბების აღსრულების მონიტორინგი საოჯახო დავებთან დაკავშირებით”; „უფასო იურიდიული დახმარება ქუთაისის საოლქო სასამართლოში”; „სა-ზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა შესახებ”.

## ჩვენი დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები

15-წლიანი ისტორიის მანძლზე ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელთა მხარდაჭერის გარეშე ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. „42-ე მუხლი“ მადლობა უხდის ყველა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

### დონორები:

- აირის-საქართველო
- ამერიკის იურისტთა ასოციაცია
- ბრიტანეთის საბჭო
- ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ბრიტანეთის საელჩო თბილისში
- გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (EPF)
- ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში
- ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში
- ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის
- ეუთო-ს მისია საქართველოში
- კანადის საელჩო
- ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში, სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამა (MATRA)
- ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდი, პროგრამა - RITA
- ფონდი “ღია საზოგადოება — საქართველო” (OSGF)
- ღია საზოგადოების ფონდი (ბუდაპეშტი)
- ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო (თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ფარგლებში)
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

# კონსტიტუციის 42-ე მუხლი

## პარტნიორები:

- ადამიანის უფლებათა და კონფლიქტის შესწავლის კავკასიური ცენტრი (CAUCASIA)
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC)
- ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი
- ადამიანის უფლებათა ცენტრი
- ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდი (პოლონეთი)
- ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
- ინტერაითსი (დიდი ბრიტანეთი)
- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა
- კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“
- მედიის უფლებათა ინსტიტუტი (აზერბაიჯანი)
- ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი
- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი
- ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“• პოლონური ორგანიზაცია - „ღირსეული სიცოცხლე“• პრომოლექსი (მოლდოვა)
- სამართლებრივი სწავლების საზოგადოება (აზერბაიჯანი
- საფარი - ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრი
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- საქართველოს სახალხო დამცველი
- სომხური ინსტიტუტი განვითარებისათვის
- უკრაინა-პოლონეთი-გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია (უკრაინა)
- ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი ,,ტასო”
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
- პროფესიული კავშირების გაერთიანება)

## „ადამიანის უფლებათა სახლი „თბილისი“

„ადამიანის უფლებათა სახლის“ იდეა ნორვეგიაში 1989 წელს წარმოიშვა. ამ სახლში იყრის თავს მრავალი ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებას ემსახურება, მათი მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობაა.

ადმიანის უფლებათა სახლი — თბილის გასულ წელს ოფიციალურად დარეგისტრირდა, სადაც თავმჯდომარე როტაციის პრინციპით 2 წლის ვადით ირჩევა.

სახლში თავს რამდენიმე ორგანიზაცია იყრის, ერთ-ერთი პირველი „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ და ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი „კავკასია“ იყო, შემდეგ წამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი, ამ რიცხვს დაემატა კავშირი „საფარი“, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლებსა და ქალთა უფლებების დაცვას ემსახურება, ბოლოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც სტრასბურგში წარადგენს ინტერესებს, სახლის ასოცირებული წევრი კი, მედია განვითარების ინსტიტუტია.

## პირველები ევროსასამართლოში და 9 მოგებული საქმე

1. დავით ჯაში საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წელს დადგენილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროკონვეცციის მე-3 მუხლის დარღვევა დავით ჯაშთან მიმართებაში. საქართველოს დაეკისრა 3000 ევროს სახით ჯარიმის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ.

2 ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2012 წელს დაადგინა ევროპული კონვენციის მე- 5. 1 და მე-5.2 მუხლების დარღვევა, დაკავების პროცედურების დარღვევის გამო. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველო ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ განმცხადებელს 500 ევრო (ხუთასი ევრო) არამატერიალური ზიანის სახით და ერთობლივად 100 ევრო (ასი ევრო) თარგმნის სახით გაღებულ ხარჯებისათვის, ორივე ეროვნული ვალუტის სახით.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ “არჩილ ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ” 2002 წლის 24 ივლისს შეტანილ განაცხადზე 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით დარღვეულად სცნო სამართლიანი სასამართლოს უფლება, ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან არ არსებობდა მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის კანონიერი საფუძვლები და საქართველოს მხარეს 2000 ევროს გადახდა დააკისრა.

4. საქმეზე „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, ვინაიდან ციხეში არსებული პატიმრობის პირობები წარმოადგენდა მომჩივანის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას და დარღვეულად სცნო მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა და მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც მსაჯულები შედიოდნენ არ იყო ‘’კანონით დადგენილი წესით შექმნილი სასამართლო’’. საქართველოს სახელმწიფოს 5 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.

5. ევროსასამართლომ საქმეზე „ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2009 წლის 13 იანვარს დაადგინა, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-5 (3) მუხლი, რადგან მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ბრალდებულის უკანონო დაკავებასა და დაპატიმრებას. ასევე, სასამართლომ დარღვეულად სცნო კონვენციის მე-8 მუხლი და საქართველოს 8 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

6. საქმეზე „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“ 2009 წლის 13 იანვრის გადაწვეტილებით საქართველოს დაეკისრა 10 ათასი ევროს გადახდა, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მესამე მუხლი, რომელიც ეხება ციხეში არსებულ არასათანადო პატიმრობის პირობებს.
7. ევროსასამართლომ „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“ 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწვყეტლებაში კონვენციის მე-5.3 მუხლის დარღვევა სცნო, რომელიც უკანონო დაპატიმრებას ეხება და დაზარალებულის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 1 500 ევროს გადახდა მორალური ზიანისთვის, 2 170 ევრო ხარჯების დანახარჯებისთვის.
8. საქმეს „შამაევი და 12 სხვა, საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ საფუძვლად დაედო სარჩელი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, რომლითაც ამ ქვეყნების 13 მოქალაქემ მიმართა სასამართლოს, 2002 წლის 4 და 9 ოქტომბერს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად.
სასამართლომ 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საქართველოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის, (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) მე-5 მუხლის მეორე და მეოთხე ქვეპუნქტის (უკანონო დაკავება და დაპატიმრება) დარღვევას. სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-13 მუხლიც (გასაჩივრების შიდა საშუალებების არარსებობა) და კომპენსაციის გადახდაც დაეკისრა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს სახელმწიფოს. საქართველოს დააკისრა 84500 ევროს, ხოლო რუსეთს 34000 ევროს გადახდა.
9. საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ 2004 წლის 8 აპრილის განჩინებით დადგინდა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები, რომელიც უკანონო დაკავებას ეხება, ასევე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები, რაც განაჩენის აღუსრულებლობას ითვალისწინებს. სახელმწიფოს 150,000 (ასორმოცდაათი ათასი) ევრო გადახდა დაეკისრა.

## ფაქტები, რომლებიც უნდა იცოდეთ

1). „42—ე მუხლი'' არის პირველი ორგანიზაცია საქართველოდან, რომელმაც წარადგინა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; 2). „42—ე მუხლის'' მიერ წარდგენილ საქმეზე ევროსასამართლომ 7 საქმეზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევები დაადგინა და დღეის მდგომარებით ორგანიზაციას სხვა ქართულ არასამთავრობოებთან შედარებით, ყველაზე მეტი მოგებული საქმე აქვს ევროსასამართლოში; 3). ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით ორგანიზაციის ადვოკატების მიერ ევროსასამართლოში წარდგენილია 150-ზე მეტი საჩივარი; 4). ორგანიზაციის ადვოკატები ყოველწლიურად 3500 უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევენ მოსახლეობას; 5). ,,42—ე ხმული“ იყო პირველი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც პირველი საქმე წარადგინა ევროსასამართლოში, პოლიციის ჰომოფობიურ ქცევაზე სექსუალური უმცირესობების მიმართ. 6) „42—ე მუხლი“ პირველი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია იყო გაეროს დისკრიმინიაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტს წარუდგინა საქმე ქალებსა და ბავშვებზე ოჯახური ძალადობის შესახებ, რომელიც წარმოებაში იქნა მიღებული და ამჟამად განხილვის სტადიაზეა. 7). „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ წლების განმავლობაში ახორციელებს იურიდიული კლინიკის პროგრამას. 1998 წელს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით, დაარსდა იურიდიული კლინიკა, რომლის ფარგლებშიც, დღემდე 600-ზე მეტი სტუდენტი დაეუფლა ადვოკატისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და მაღალეთიკურ პროფესიულ სტანდარტებს. 8). ,,42—ე მუხლი“ საკუთარ ანაგრიშზე ეროვნულ სასამართლოებში ითვლის ათასზე მეტ წარმატებულ საქმეს. 9). ორგანიზაცია ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი'' აქტიურად მუშაობს ჯანმრთელობა შერყეული პატიმრების დაცვის კუთხით და ბოლო წლებში დაახლოებით 10-მდე პატიმარს გადაუვადდა სასჯელი ან გათავისუფლდა მისი მოხდისაგან. 10). 2008 წლის აგვისტო ომის შემდეგ ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლმა'' ევროსასამართლოს მიმართა და 2009 წელს ომის შედეგად დაზარალებული 400-მდე განმცხადებლის 50 საქმე წარადგინა. ორგანიზაცია აპროტესტებს ევროკონვენციის მრავალი მუხლების დარღვევას - მათ შორის სიცოცხლის უფლების დარღვევას, თავისუფლების შეზღუდვა, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, საკუთრების უფლების დარღვევას და ა.შ. 11). რუსეთის ფედერაციის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე ქართველების დეპორტაცია ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლმა'' ევროსასამართლოში გაასაჩივრა. ორგანიზაციამ სასამართლოში 11 განმცხადებლის 6 საქმე შეიტანა და ასაჩივრებს ადამიანთა დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნის მიხედვით, სიცოცხლის უფლების დაღვევას, წამებასა და არადამიანურ მოპყრობას და ა.შ. 12). ორგანიზაცია წლების განმავლობაში აქტიურად თანამშორმლობს ადვოკატებთან, დაახლოებით 560-მდე მეტმა ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა ბოლო წლების განმავლობაში ''42-ე მუხლის'' მიერ გამართულ ტრეინინგებში, რომელიც ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ეხებოდა; 13). „42-ე მუხლი“ აქტიურად ზრუნავს ქალთა ცნობიერების ამაღლებაზე მათი უფლებების შესახებ, დახლოებით 230-ზე მეტმა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა ტრეინინგებში, რომელსაც ორგანიზაცია ატარდებდა. 14) ''42-ე მუხლის'' მონაწილეობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართოლში 15-ზე მეტი საქმე წარმატებით დასრულდა,რის შედეგადაც არაერთი საკანონმდებლო ნორმა შეიცვალა. 15). ''42-ე მუხლი'' არ უშინდება სიახლეებს, და ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებიდან გამომდინარე ცდილობს ახალი სფეროების ათვისებას. ორგანიზაციამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და დარსებიდან მე-15 წელს კომერციული სამართლის განვითარებაზე დაიწყო მუშაობა.

# კონსტიტუციის 42-ე მუხლი



მაკა გიოშვილი
გამგეობის თავმჯდომარე



თამარ გაბისონია
აღმასრულებელი დირექტორი



დიმიტრი ხაჩიძე
გამგეობის წევრი



ანზორ ხატიაშვილი
ორგანიზაციის წევრი



ლენა ფილეევა
გამგეობის წევრი



სოფო ალექსიძე
ორგანიზაციის წევრი



არჩილ ჩოფიკაშვილი
საპარლამენტო მდივანი



მარიამ კაპანაძე
ორგანიზაციის წევრი



ელიზაბეთ სამერსი
იურისტი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

# კონსტიტუციის 42-ე მუხლი



ნინო ელზაქიძე
გამგეობის წევრი



ნიკოლოზ ლეგაშვილი
სამართლებრივი მრჩეველი



მარიამ ზაქარეიშვილი
იურისტი



ნათია ჩაჩანიძე
ორგანიზაციის წევრი



ლაშა ჟინჟარაული
ორგანიზაციის წევრი



ნათია დევდარიანი
ფინანსური მენეჯერი



ნათია ცალანი
ადმინისტრატორი



რუსუდან მჭედლიშვილი
ორგანიზაციის წევრი



ანა თვარაძე
ორგანიზაციის წევრი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

# კონსტიტუციის 42-ე მუხლი




## დონორები და პარტნიორები

- ადამიანის უფლებათა სახლი
- ბრიტანეთის საელჩო საქართველოში
- ბრიტანეთის საბჭო
- ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
- კანადის საელჩო
- ამერიკის იურისტთა ასოციაცია
- ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის
- აირის-საქართველო
- ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"
- ღია საზოგადოების ინსტიტუტი-ბუდაპეშტი
- გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში
- ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში
- ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში
- ეუთო-ს მისია საქართველოში
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
- ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი
- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი
- "ინტერაითსი"-დიდი ბრიტანეთი
- ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდი, პოლონეთი
- სამართლებრივი სწავლების საზოგადოება, აზერბაიჯანი
- მედიის უფლებათა ინსტიტუტი, აზერბაიჯანი
- სომხური ინსტიტუტი განვითარებისათვის
- პრომოლექსი, მოლდოვა
- ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი
- საქართველოს სახალხო დამცველი
- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა • ადამიანის უფლებათა ცენტრი
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
- "საფარი"- ოჯახური ძალადობის საწიინაალმდეგო ცენტრი
- ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა"
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
- ადამიანის უფლებათა და კონფლიქტის შესწავლის კავკასი-ური ცენტრი

## ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები

### გამგეობის თავმჯდომარეები

ლია მუხაშავრია (1998- 2001) პავლე ბერია (2001-2002) შოთა გრიგალაშვილი (2003-2004) მანანა კობახიძე (2004- 2008) ნიკოლოზ ლეგაშვილი (2009) ნაზი ჯანეზაშვილი (2011) თამარ გაბისონია (2011-2013)

### აღმასრულებელი დირექტორები

ლია მუხაშავრია (2001-2003) ქეთევან ქამაშიძე (2003-2006) მარი ჩოხელი (2006 -2009) მანანა კობახიძე (2009-2010) ნაზი ჯანეზაშვილი (2010- 2012) თამარ გაბისონია (2013 დან )

კონსტიტუციის 42-ე მუხლი